# ანტიგენდერული რიტორიკა

# და გენდერული სტერეოტიპები

# სოციალურ მედიაში

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი

თბილისი 2024

ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „ანტიგენდერული მოძრაობის აღმასვლა საქართველოში“ ფარგლებში. პროექტის მხარდამჭერია ორგანიზაცია „ქალთა ფონდი საქართველოში“.

პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა იქნეს აღქმული დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

# სარჩევი


ტერმინთა განმარტებები: 3

შესავალი 4

მეთოდოლოგიური ჩარჩო 7

1. ანტიგენდერული პოლიტიკის ლოკალური კონტექსტი და ძირითადი მდგენელები 10

1.1. ხელისუფლების ულტრაკონსერვატიული ტრანსფორმაცია და ჰომოფობიური დისკურსი 11

1.2. „თბილისი პრაიდის“ კვირეული და 17 მაისი - ჰომოფობიურ ფოკუსში 14

2. ანტიგენდერული საკანონმდებლო ინიციატივები და პოლიტიკურ/საზოგადოებრივი დებატები 17

2.1. კონსტიტუციური კანონის პროექტი ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ 17

2.2. პარლამენტმა სავალდებულო გენდერული კვოტები გააუქმა 21

3. დისკრედიტაციის კამპანიები ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ 23

3.1. დისკრედიტაციის კამპანია სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ 23

3.2. დისკრედიტაციის კამპანია ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ 27

3.3. დისკრედიტაციის კამპანია სალომე სამადაშვილის წინააღმდეგ 31

ძირითადი მიგნებები 33

რეკომენდაციები 34

# ტერმინთა განმარტებები:[1]

**„სლათ-შეიმინგი“ (SLUT-SHAMING)** - მოიაზრებს უმეტესად ქალებისა და გოგოების გაკიცხვას, გარეგნული მახასიათებლების, ჩაცმულობისა თუ ქცევიდან გამომდინარე, რომელიც არ შეესაბამება სექსუალობასთან დაკავშირებულ საზოგადოებაში არსებულ გენდერულ ნორმებს.

**გენდერული/სექსისტური სიძულვილის ენა** - ქალთა და გოგონათა წინააღმდეგ მიმართული ვერბალური ძალადობის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მათ სოციალურ გარიყვასა და ჩაგვრას. ხასიათდება მსხვერპლის დადანაშაულებით, სექსუალური ნიშნით ობიექტივიზაციითა და „სლათ-შეიმინგით.“

**გენდერული ნიშნით გაკიცხვა** – მოიაზრებს ვერბალურ თავდასხმებს გოგონებსა და ქალებზე, გენდერული როლის, საქმიანობის, ქცევისა თუ სხვა ინდიკატორების შესახებ სტერეოტიპულ წარმოდგენებზე დაყრდნობით.

**სექსიზმი** - მოიაზრებს ადამიანთა გენდერისა და სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას. ხშირ შემთხვევაში კი გენდერული უთანასწორობის უმთავრესი მიზეზია.

**მიზოგინია** - ქალთმოძულეობა, წარმოადგენს სექსიზმის უკიდურეს ფორმას. მოიცავს ქალების დისკრიმინაციას, დამცირებას, უფლებების შელახვას, სექსუალურ ობიექტივიზაციას და ჩაგვრის პრაქტიკებს.

**ეიჯიზმი** – ასაკობრივი დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც ხასიათდება სამი კომპონენტით: კოგნიტური, აფექტური და ქცევითი. კოგნიტური კომპონენტი მოიცავს გარკვეულ რწმენებსა და სტერეოტიპებს ხანდაზმული ადამიანების მიმართ, აფექტური – წინასწარ შექმნილ უარყოფით განწყობებსა და ემოციებს, ქცევითი – პირდაპირ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციას.

**გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვა** – ადამიანის ინტელექტუალური უნარების დაკნინება, საქმიანობის დისკრედიტაცია და კომპეტენციის ეჭვქვეშ დაყენება.

**ანტიგენდერული დისკურსი** – იმ აქტივობებისა და განწყობების ერთობლიობა, რომელიც მიზანმიმართულად ახდენს ქალთა მოძრაობების დისკრედიტაციას და მიმართულია ფემინისტური ხედვებისა და ღირებულებების წინააღმდეგ.

**ანტიგენდერული მოძრაობა** – მოძრაობა, რომელიც ერთდროულად ხასიათდება ანტიფემინისტური, ჰომოფობიური და ტრანსფობიური შინაარსით; ეწინააღმდეგება რეპროდუქციულ თავისუფლებას და ცენზურას უწესებს გენდერის სწავლების პროგრამებს.

[1] ტერმინთა მოცემული განმარტებები არ ატარებს უნივერსალურ ხასიათს და შემუშავებულია კონკრეტულად წინამდებარე მონიტორინგის მიზნებისთვის.

# შესავალი

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ემიჯნება დოკუმენტში ციტირებულ სექსისტურ, მიზოგინიურ და ჰომოფობიურ განცხადებებს. თუმცა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მათ უცვლელად გთავაზობთ.

ბოლო პერიოდში მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ანტიგენდერული მოძრაობისა და ულტრამემარჯვენე ძალების ხილვადობა. აღნიშნული ტენდენცია სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ფემინისტური და ქვიარ მოძრაობებისთვის. დემოკრატიის მწვავე კრიზისისა და საზოგადოებებში გამძაფრებული პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე, ავტორიტარული რეჟიმები ძალაუფლების შესანარჩუნებლად ცდილობენ პოლიტიკურ იარაღად გამოიყენონ ჰომოფობიური, ანტიფემინისტური, სექსისტური და ანტიგენდერული განწყობები.

ავტორიტარული რეჟიმების მსგავსად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, განსაკუთრებით ხილვადი გახდა მმართველი პარტიის სრული შებრუნება ულტრაკონსერვატიული მიმართულებით, რამაც კიდევ უფრო გამოკვეთა „ქართული ოცნებისა“ და ძალადობრივი, ულტრამემარჯვენე ფლანგის ანტიგენდერული და ჰომოფობიური დისკურსის იდენტური კონტურები. ამ ჯგუფების პოლიტიკური ლექსიკა და რიტორიკა იმდენად მსგავსი გახდა, რომ ხშირ შემთხვევაში რთულია ანტიგენდერული, სექსისტური და მიზოგინიური კამპანიების პირველწყაროს განსაზღვრა. ადგილობრივ კონტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ 2023 წლიდან მოყოლებული, მმართველი პოლიტიკური კლასის მიერ ულტრამემარჯვენე დღის წესრიგზე გადაწყობის ტაქტიკა კონსერვატიული განწყობების მქონე ამომრჩევლის შენარჩუნებასა და მობილიზებას ემსახურება.

საქართველოში, ანტიგენდერული დისკურსის ძირითად აქტორებად გვევლინებიან „ქართული ოცნების“, მისი სატელიტი პოლიტიკური ძალების, ღიად პროსახელისუფლებო მედია პლატფორმებისა და ულტრამემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენლები; ძირითად ფოკუსში კი - ქალთა და ბავშვთა უფლებები, რელიგიური ღირებულებები, ოჯახის ინსტიტუტი, სექსუალური უმცირესობების უფლებები, გენდერული იდენტობისა და სექსუალობის საკითხები ექცევა.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების მეტ-ნაკლებად ფრაგმენტული ანტიგენდერული კამპანიები ხელისუფლებამ მძლავრ პოლიტიკურ ინსტრუმენტად გარდაქმნა და დროთა განმავლობაში თავად მოგვევლინა ჰომოფობიური, სექსისტური და ანტიგენდერული კამპანიის მთავარ აქტორად. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 2019 წლიდან აკვირდება ამ ჯგუფებისა და მათი ლიდერების სამოქმედო დღის წესრიგსა და რიტორიკას, ხოლო 2023 წლიდან შეისწავლის ანტიგენდერული რიტორიკის მთავარ აქტორებს, ტენდენციებსა და აღმასვლის დინამიკას სოციალურ ქსელებში, ონლაინ მედიასა და სხვა საინფორმაციო პლატფორმებზე.

ხუთწლიანი ინტენსიური დაკვირვება ცხადყოფს, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და ხელისუფლების მხრიდან დროთა განმავლობაში იზრდება გენდერული და ლგბტიქ+ იდენტობის საკითხებით საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირების მცდელობები. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დისკუსიებში ნათლად იკვეთება ჰომოფობიური რიტორიკა, რომელიც მეტწილად ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკური ჰომოფობიის ფონზე ვითარდება.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ყურადსაღებია ხელისუფლების წარმომადგენელთა სექსისტური გამონათქვამები, სიტყვიერი თავდასხმები ოპოზიციონერ ქალ დეპუტატებსა და საქართველოს პრეზიდენტზე, ანტიგენდერული შინაარსის საკანონმდებლო ინიციატივები და საქართველოს ორი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და ირაკლი კობახიძის ჰომოფობიური განცხადებები საერთაშორისო ტრიბუნიდან, კერძოდ, უნგრეთში „კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების“ კონფერენციაზე. ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების მხრიდან, როგორც ლოკალურ, ასევე, საერთაშორისო არენაზე გაჟღერებულმა ჰომოფობიური შინაარსის შეთქმულების თეორიებმა ანტიგენდერულ რიტორიკას უფრო მეტი ხილვადობა და პოლიტიკური ლეგიტიმურობა შესძინა. ზედიზედ ორი წლის განმავლობაში ორი პრემიერ-მინისტრის საერთაშორისო კონსერვატიულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლა, რომელიც ცალსახად შეიცავდა ანტიგენდერულ, ჰომოფობიურ და პოპულისტურ განწყობებს, ღიად წარმოაჩენს „ქართული ოცნების“ ულტრაკონსერვატიულ, ულტრამემარჯვენე ძალად პოზიციონირების სურვილს და მის კავშირს საერთაშორისო ულტრამემარჯვენე ქსელებთან და აქტორებთან.

ანტიგენდერული მოძრაობის აღმასვლის დინამიკის, ტენდენციების, ჰომოფობიური, მიზოგინიური და სიძულვილის ენის შემცველი გზავნილების იდენტიფიცირებისა და ანალიზის მიზნით, წინამდებარე ანგარიშში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა 2023 წლის იანვრიდან 2024 წლის მაისის ჩათვლით განხორციელებული მონიტორინგის შედეგები შეაჯამა. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა ასევე, ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ გენდერული ნიშნით წარმოებული მადისკრედიტირებელი კამპანიების გამოვლენა. საერთო ჯამში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა სოციალურ ქსელებში და ონლაინ მედიაში ანტიგენდერული შინაარსის 435 შემთხვევა გააანალიზა.

კვლევამ აჩვენა, რომ საანგარიშო პერიოდში აქტუალური იყო ქალთა წინააღმდეგ სიძულვილის ენის გამოყენება. მკვეთრად სექსისტური ენა, სხვადასხვა ფორმით გამოიყენებოდა როგორც ონლაინ და მეინსტრიმულ მედიაში, ასევე, სოციალურ ქსელებში. ყველაზე გავრცელებულ ფორმად გვევლინებოდა: სლათ-შეიმინგი, სექსუალური ობიექტივიზაცია, თავდასხმა სქესის, ასაკის, გენდერული და სექსუალური იდენტობის ნიშნით. ასევე, გამოაშკარავდა ხელისუფლებისა და ულტრამემარჯვენე ძალების იდენტური ჰომოფობიური გზავნილები და ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული, ორმხრივად ლოიალური პოლიტიკა. საგულისხმოა, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები „ქართულ ოცნებასთან“ სრულ უნისონში ატარებდნენ ჰომოფობიურ პოლ-

იტიკას, რომელიც ყალბ ეროვნულ-რელიგიურ სენტიმენტებს ერწყმოდა. სოციალური ქსელების და ონლაინ მედიის მონიტორინგის შედეგად, ანტიგენდერულ დისკურსში რამდენიმე ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა, მათ შორის, განსაკუთრებით ყურადსაღები იყო:

1. **მადისკრედიტირებელი კამპანიები** - საანგარიშო პერიოდში კამპანიური ხასიათი ჰქონდა მადისკრედიტირებელ თავდასხმებს ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ, მათი პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე. ანტიგენდერული თავდასხმის ძირითადი სამიზნეები სხვა ქალ პოლიტიკოსებთან ერთად იყვნენ: პარტია „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და პარტია „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი სალომე სამადაშვილი. გენდერული ნიშნით დისკრედიტაციის მცდელობები ძირითადად ვიზუალს და ასაკს უკავშირდებოდა. ცალკეულ შემთხვევებში კი ადგილი ჰქონდა ქალი პოლიტიკოსების დაკნინებისა და გაშარჟების მცდელობებს, რისთვისაც იყენებდნენ ფოტო/ვიდეო მანიპულაციებს. ამ მიმართულებით არაერთი დეზინფორმაციული გზავნილიც გავრცელდა.

2. **პოლიტიზებული ჰომოფობია** - ხელისუფლების, მასთან დაკავშირებული მედიების, სატელიტი პოლიტიკური აქტორებისა და ულტრამემარჯვენე ჯგუფების ჰომოფობიური ნარატივები 2023 წლის 17 მაისის მოახლოების პარალელურად გააქტიურდა. სიტყვიერმა მუქარებმა აგრესიული სახე მიიღო 2023 წლის 8 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ მიერ დაანონსებულ ფესტივალზე, რომელიც ძალადობრივი ჯგუფების თავდასხმის შედეგად ჩაიშალა. საანგარიშო პერიოდში მკვეთრად თვალშისაცემი იყო მხარდამჭერთა გრძნობებზე აპელირება ფსევდოეროვნული გაწყობებით და ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია. რეზონანსული აღმოჩნდა ასევე, 2023 წლის 4 მაისს და და 2024 წლის 25 აპრილს, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში კონსერვატიულ პოლიტიკურ სამოქმედო კონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრების ჰომოფობიური გამოსვლები, რომლებიც შეთქმულების თეორიებით და ფსევდო ეროვნულ/რელიგიურ სენტიმენტებზე აპელირებით გამოირჩეოდა. „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული კონსტიტუციური კანონის პროექტის „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საყოველთაო-სახალხო განხილვები რეგიონებში პოლიტიზებული ჰომოფობიის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა.

3. **ანტიგენდერული საკანონმდებლო ინიციატივები და საჯარო დისკუსიები** - 2024 წლის მარტში „ქართული ოცნების“ მიერ დაინიცირებულ საკანონმდებლო ინიციატივას „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, რომელიც ხელისუფლების შეფასებით, „ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის“ და „ლგბტ პროპაგანდის“ წინააღმდეგ არის მიმართული, ულტრამემარჯვენე ფლანგის ლიდერები ჰომოფობიური და სექსისტური რიტორიკით გამოეხმაურნენ. საკანონმდებლო ინიციატივის წარსადგენად,

„ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა ლიდერებმა საჯარო შეხვედრები გამართეს რეგიონებში. შეხვედრებს ფონად გასდევდა მკვეთრად ანტიგენდერული რიტორიკა. გარდა ამისა, ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ დღის წესრიგში დაბრუნებულ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტს მწვავე საპროტესტო ტალღა მოჰყვა, რომლის დემონიზებასაც „ქართული ოცნების“ ლიდერები სატელიტი პოლიტიკური ჯგუფებისა და მედიების დახმარებით ცდილობდნენ. ამ კამპანიაში მკვეთრად შესამჩნევი იყო წინა ხაზზე მყოფი პოლიტიკოსებისა და აქტივისტების, მათ შორის, პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული მადისკრედიტირებელი, დამაკნინებელი და მკვეთრად სექსისტური კამპანიები.

ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და ხელისუფლების რიტორიკაში სიძულვილის ენა ოპონენტების წინააღმდეგ მძლავრი პოლიტიკური იარაღია. თავის მხრივ, სიძულვილის ენას საფუძვლად უდევს სტერეოტიპული წარმოდგენები სქესის, გენდერული იდენტობისა თუ სექსუალობის შესახებ, რომელიც ქალს მეორეხარისხოვან პიროვნებად, უმნიშვნელო აქტორად, სექსუალურ ობიექტად ან მსხვერპლად წარმოაჩენს. ანტიგენდერულ დისკურსში ქალების როლის დასაკნინებლად წინა პლანზე გამოდის ქალის პირადი ცხოვრების, ჩაცმის სტილის, საუბრის მანერის, გარეგნობის განხილვა; ამავდროულად, საჯაროდ აქილიკებენ მათ მოსაზრებებს, მიღწევებსა თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, რომლის მთავარ მიზანსაც ქალების სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებიდან სრული გარიყვა და იზოლაცია წარმოადგენს.

## მეთოდოლოგიური ჩარჩო

კვლევის მიზანია 2023 წლიდან ანგარიშის გამოქვეყნების მომენტამდე საქართველოში ანტიგენდერული/ანტიფემინისტური დისკურსის აღმასვლის, ძირითადი ტენდენციებისა და გზავნილების ანალიზი, ასევე, იმ ძირითადი აქტორების გამოკვეთა, ვინც გენდერულ და ლგბტიქ+ საკითხებს მანიპულაციურ და დეზინფორმაციულ კონტექსტში წარმოაჩენს. ანგარიში ეფუძნება შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს და შესაბამისად, მასში ასახულია მედიამონიტორინგის მონაცემების, როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი მახასიათებლები. სოციალური მედიის მონიტორინგისთვის გამოყენებულია ფეისბუქის ანალიტიკური ხელსაწყო Crowdtangle. სოციალური მედიის მონიტორინგის გარდა, ანგარიშში ონლაინ მედიამონიტორინგის ძირითადი მიგნებებიც აისახა.

**კვლევის ძირითადი ცნებები:** მისინფორმაცია,[2] დეზინფორმაცია, ეიჯიზმი, სექსიზმი, სიძულვილის ენა, ანტიგენდერული ნარატივები.

კვლევის **ამოცანებს** წარმოადგენდა:

- ანტიგენდერული ნარატივების გამავრცელებელი და შემქმნელი ძირითადი აქტორების იდენტიფიცირება.
- პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიური ქალების წინააღმდეგ მიმართული მადისკრედიტირებელი კამპანიების გამოვლენა და ანტიგენდერული ინდიკატორების ანალიზი.
- რეზონანსული, პოლიტიკური და სოციალური საკითხების გარშემო მიმდინარე ანტიგენდერული ნარატივების იდენტიფიცირება/ანალიზი.
- საქართველოში ანტიგენდერული მოძრაობის სოციალური და პოლიტიკური მდგენელების განსაზღვრა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

კვლევის პროცესში **ვაკვირდებოდით:**

- ანტიგენდერული და ანტილიბერალური დღის წესრიგის მქონე, ღიად პროსახელისუფლებო და ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ სუბიექტებთან დაკავშირებულ **ფეისბუქ გვერდებს, ტელეგრამ და Youtube არხებს.**
- პროსახელისუფლებო და ულტრამემარჯვენე ჯგუფებთან დაკავშირებულ **ონლაინ მედია პლატფორმებს,** რომელთა სარედაქციო პოლიტიკა ხასიათდება მკვეთრად ჰომოფობიური, სექსისტური და ანტიგენდერული რიტორიკით.
- დეზინფორმაციული და გენდერული ნიშნით სიძულვილის ენის შემცველი, პროპაგანდისტული გზავნილების გამავრცელებელ, პროსახელისუფლებო და ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ აქტორებთან პირდაპირ დაკავშირებულ **სატელევიზიო გადაცემებს.**

**კვლევის სტრუქტურა:** ანგარიშის პირველი თავი ეთმობა ხელისუფლების, როგორც წამყვანი ანტიგენდერული აქტორის, და სხვა ძირითადი ულტრამემარჯვენე ჯგუფების დროში ტრანსფორმირებადი ჰომოფობიური და სექსისტური რიტორიკის ანალიზს. აღნიშნული თემატიკის ფარგლებში მიმოხილული იქნება აგრეთვე პოლიტიზებული ჰომოფობიის მთავარი მდგენელები და ის რეზონანსული მოვლენები, რომლის გარშემოც ახდენენ რეფლექსიას „ქართული ოცნების“ და სხვა ულტრამემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენლები ანტიგენდერულ რაკურსში. მეორე თავი აღწერს

[2] მცდარი ან არასრული ინფორმაცია, რომელსაც უმეტესად ახასიათებს ორაზროვნება, ბუნდოვანება ან საეჭვოობა (იძლევა რამდენიმე ინტერპრეტაციის საშუალებას). არასრული ინფორმაცია (ნახევრად სიმართლე). რომელიც ასევე, შესაძლოა იყოს მიზანმიმართული სიყალბე, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში დეზინფორმაციადაც შეიძლება ჩაითვალოს

ანტიგენდერულ საკანონმდებლო ინიციატივებს და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და სოციალურ დისკუსიებს; ამ თავში გაანალიზებულია ხელისუფლების, მასთან დაკავშირებული მედიების, პოლიტიკური აქტორებისა და ულტრამემარჯვენე ძალების ორკესტრირებული კამპანია. მესამე თავში აღწერილია პოლიტიკოსი ქალების წინააღმდეგ მიმართული მადისკრედიტირებელი კამპანიები, მისი დამახასიათებელი დეზინფორმაციული და მანიპულაციური მედია კონტენტი. ასევე, განხილულია ის გენდერული ინდიკატორები, რომელზე დაყრდნობითაც ახდენენ პოლიტიკოსი ქალების დისკრედიტაციასა და დემორალიზებას საზოგადოების თვალში. ანგარიშის დასკვნით ნაწილში მოცემულია საანგარიშო პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და შესაბამისი რეკომენდაციები.

ანგარიშის თემატიკა აერთიანებს ანტიგენდერული და ანტიფემინისტური რიტორიკის ისეთ ფართო სპექტრს, როგორებიცაა: განათლების, იდენტობის, კანონმდებლობისა და ღირებულებების საკითხები. ხოლო თვისებრივი მონაცემები აერთიანებს ანტიგენდერული/ანტიფემინისტური გზავნილების ძირითად ტიპოლოგიას, მიზოგინიის მაგალითებსა და მანიპულაციური შინაარსის ვიზუალურ (ვიდეო და ფოტო) მასალას.

მონიტორინგის ფარგლებში საინფორმაციო მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოციალურ ქსელებსა და ონლაინ მედიაში პოსტების 65% წარმოდგენილი იყო ტექსტური მასალის (სტატუსების) სახით, ვიდეო კონტენტი (ლაივ ჩართვების ჩათვლით) წარმოადგენდა მონაცემთა 25%-ს, ფოტო მასალა კი - 10%-ს. შესწავლილი პოსტების, სტატიებსა და ვიდეოებზე ჯამურმა ინტერაქციამ გამოავლინა, რომ ყველაზე მაღალი ინტენსივობით ჰომოფობიური განწყობებით მოტივირებული გზავნილები გამოირჩეოდა. საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა, რომ სექსისტური ენა და ჰომოფობიური გზავნილები გამოყენებული იყო, როგორც იდენტობით განპირობებული საკითხებისადმი, აგრეთვე პოლიტიკური ოპონირების ჭრილში აქტიური ქალების დისკრედიტაციის მიზნით.






# 1. ანტიგენდერული პოლიტიკის ლოკალური კონტექსტი და ძირითადი მდგენელები

ჰომოფობიური და ღიად ანტიგენდერული დისკურსი ქვეყანაში მიმდინარე რეზონანსული პოლიტიკური და სოციალური საკითხების კვალდაკვალ ტრანსფორმირდება და დროის სხვადასხვა მონაკვეთში განსხვავებულ შინაარსს და ფორმას იძენს. საქართველოს ხელისუფლების რიტორიკაში მომძლავრებული ჰომოფობიური და ანტიგენდერული განწყობები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე დემოკრატიის კრიზისს ებმის და პირდაპირი კავშირი აქვს მსოფლიოში გაძლიერებულ მემარჯვენე პოპულისტურ და ავტორიტარულ რეჟიმებთან. იკვეთება საერთაშორისო, ულტრაკონსერვატიულ ქსელებთან ხელისუფლების გადაკვეთის წერტილებიც.

ბოლო წლებში საქართველოში ხელისუფლების მკვეთრი შებრუნება ულტრაკონსერვატიული მიმართულებით ამყარებს მოსაზრებას, რომ მმართველი ძალა ანტიგენდერულ, სექსისტურ და ჰომოფობიურ სენტიმენტებზე აპელირებით ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას და მხარდამჭერთა მობილიზებას.

ლოკალურ კონტექსტში, ანტიგენდერული დისკურსის აღმასვლა ასევე უკავშირდება ისეთ სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს, როგორებიცაა: საზოგადოების პოლარიზება, უმცირესობათა ჯგუფების გარიყვა და სამოქალაქო სექტორის გავლენის მნიშვნელოვნად შემცირების მცდელობა. მემარჯვენე პოპულიზმის წიაღში აღმოცენებული ანტიგენდერული დისკურსი ცალსახად ეყრდნობა მეინსტრიმული ჯგუფების ექსკლუზიას და ჰომოფობიური რიტორიკით ცდილობს პოლიტიკური აქცენტების გადატანას მოქალაქეთა ეკონომიკური კეთილდღეობიდან ფსევდოეროვნულ, რელიგიურ და იდენტობის კრიზისებთან დაკავშირებულ საკითხებზე. შესაბამისად, პოლიტიკური ჰომოფობიის ინსტრუმენტალიზაციით ხელისუფლება და ულტრამემარჯვენე ჯგუფები ცდილობენ განამტკიცონ ძალაუფლება და ლგბტიქ+ ინდივიდების ჩაგვრით შექმნან იმგვარი დღის წესრიგი, რომელიც ილუზორული რეალობის აღქმით გააძლიერებს მათ პრივილეგირებულ პოზიციებს.

ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის კონტურები ხელისუფლებასთან ერთად, ულტრამემარჯვენე ძალადობრივი დაჯგუფების „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“[3] დღის წესრიგშიც იკვეთება. აღნიშნული დაჯგუფების წარმომადგენლები ცდილობენ საზოგადოების ირაციონალური შიშები პოლიტიკურ იარაღად აქციონ და სექსიზმი და ჰომოფობია პოლარიზაციის ერთგვარ კატალიზატორად გარდაქმნან. საქართველოში ანტიგენდერულ დისკურსს სამართლებრივი, კულტურული და რელიგიური წახნაგები გააჩნია, პოლიტიკურ დღის წესრიგში კი ჰომოფობია

[3] „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ პარტიად დარეგისტრირდა 2021 წლის 7 დეკემბერს, თუმცა 2024 წლის 12 აპრილს საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით, პარტიის რეგისტრაცია ბათილად იქნა ცნობილი. მიუხედავად ამისა, ძალადობრივი დაჯგუფება არ წყვეტს პოლიტიკურ აქტივობას და არჩევნებში მონაწილეობას აპირებს პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ სახელით.

ერწყმის ანტიდასავლურ გაწყობებს და ნოყიერ ნიადაგს ქმნის როგორც ულტრა-მემარჯვენე, პრორუსული ძალებისთვის, ასევე, ხელისუფლებისთვის მხარდამჭერთა მობილიზაციის კუთხით. სწორედ აღნიშნული მიზეზით შეიძლება აიხსნას ბოლო წლებში ხელისუფლების სრული შეტრიალება ულტრაკონსერვატიულ ორბიტაზე.

## 1.1. ხელისუფლების ულტრაკონსერვატიული ტრანსფორმაცია და ჰომოფობიური დისკურსი

ხელისუფლების ანტიგენდერული მობილიზება და ულტრაკონსერვატიული შემობრუნება თვალსაჩინო 2021 წლიდან, ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრად მეორედ დანიშვნის კვალდაკვალ გახდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, „ქართული ოცნების“ ლიდერების რიტორიკა მკვეთრად ჰომოფობიურ შინაარსს იძენს. ირაკლი ღარიბაშვილის მხრიდან პოპულისტური და ჰომოფობიური რიტორიკის თვალსაჩინო მაგალითია 2021 წელს გაკეთებული განცხადება, როდესაც 5 ივლისს დაგეგმილ „ღირსების მარშზე“ საუბრისას აღნიშნა, რომ ეს იყო „პროპაგანდისტული აღლუმი,“ რომლის ჩატარებაც უმრავლესობის ნებას ეწინააღმდეგებოდა.

2023 წლის მაისში, ბუდაპეშტში გამართულ „კონსერვატიული პოლიტიკურ მოქმედების კონფერენციაში“ (CPAC) მონაწილეობით, ღარიბაშვილმა ღიად მიანიშნა „ქართული ოცნების“ ულტრაკონსერვატიულ ძალად ფორმირების მზაობაზე და ამ მიმართულებით, ხელისუფლებამ საერთაშორისო არენაზე პირველი ნაბიჯები გადადგა. CPAC-ის კონფერენციის ძირითადი დევიზი იყო „ერთად ძლიერები ვართ.“ კონფერენციის სპიკერებს შორის არ ყოფილა ევროკავშირის წევრი ან კანდიდატი ქვეყნის არც ერთი მოქმედი პოლიტიკური ლიდერი, უნგრეთის ულტრამემარჯვენე პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბანის გარდა.

კონფერენციაზე ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ „კონკრეტული ძალები, რომლებიც თავისუფლებას, სიმართლეს უპირისპირდებიან, საკუთარი მიზნების მიღწევას ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევითა და ყალბი თავისუფლების თავს მოხვევით ცდილობენ - მაგალითად, ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით.“ პრემიერის ჰომოფობიური რიტორიკა, რომელიც რელიგიურ და ეროვნულ სენტიმენტებს ეყრდნობოდა, ულტრამემარჯვენე ჯგუფების გზავნილებთან სრულ თანხვედრაში აღმოჩნდა.

პრემიერის ვიზიტს ბუდაპეშტში დადებითად გამოეხმაურნენ საქართველოში მოქმედი ძალადობრივი და ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე ჯგუფები. 2023 წლის 30 აპრილს „ალტ-ინფოს“ გადაცემაში „დღის კომენტარი“ ულტრამემარჯვენე ჯგუფის „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარემ გურამ ფალავანდიშვილმა პრემიერის ვიზიტი უნგრეთში უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეაფასა და აღნიშნა, რომ: „იმის ფონზე, როდესაც მსოფლიო გაყოფილია პროსოდომისტურ და

ანტისოდომისტურ ძალებად, ღარიბაშვილის ვიზიტი უნგრეთში ძალზედ მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს, რომ მას ეყოფა ძალა სიმართლის სათქმელად და დაგმობს ანტიდისკრიმინაციულ კანონს.“ პრემიერის ვიზიტი კონსერვატიულ პლატფორმაზე დადებითად შეაფასა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერმა ირაკლი მარტინენკომ, თუმცა 28 აპრილის გადაცემაში „ალტ-ანალიტიკა“ განაცხადა, რომ ამ ვიზიტს არსებითი მნიშვნელობა არ ექნება ქვეყნისთვის, თუ არ გადაიხედება საგარეო [ევროპული] კურსი.

„ევროპელი სოციალისტების პარტიამ“ (PES), რომლის დამკვირვებელი წევრიც მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ იყო, დაგმო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მონაწილეობა უნგრეთში გამართულ „კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების“ კონფერენციაში. 2023 წლის 29 ივნისს „ქართული ოცნება“ ევროპელი სოციალისტების პარტიიდან ოფიციალურად გარიცხეს „ევროპელი სოციალისტების“ ღირებულებებთან შეუთავსებლობის გამო.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ წინამორბედის, ირაკლი ღარიბაშვილის მსგავსად, 2024 წლის 25 აპრილს მონაწილეობა მიიღო „კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაში“. თუ 2023 წელს კონფერენციის ორგანიზატორთა მიზანი „ლიბერალებისთვის ჯოჯოხეთის“ მოწყობა იყო, 2024 წლის კონფერენციის თემად ე.წ. „ვოუქებზე ნადირობა“ გამოცხადდა. კონფერენციის პანელური დისკუსიები იყო: „სუვერენიტეტი ცოცხლობს, გლობალიზმი კვდება“, „გადაარჩინეთ დასავლეთი, დაიცავით საზღვრები“ და „ჩვენ ვიმარჯვებთ, ისინი აგებენ – 2024, საარჩევნო სუპერწელი“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ კონფერენციაზე განაცხადა, რომ „ე.წ. ლიბერალები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აყენებენ რისკის ქვეშ ქვეყნებისა და ერების იდენტობას, მათ შორის, საქართველოშიც“. გარდა ფსევდოეროვნულ სენტიმენტებზე აპელირებისა, პრემიერმა მკვეთრად ჰომოფობიური შინაარსის შეთქმულების თეორიაც გაავრცელა. მისი თქმით, „აშშ-ში, პროპაგანდამ ლგბტ პირების რაოდენობა სულ რაღაც შვიდ წელიწადში გაასამმაგა“. კობახიძემ ასევე ყურადღება გაამახვილა „ქართული ოცნების“ ინიცირებულ საკანონმდებლო ინიციატივაზე და აღნიშნა, რომ მისმა პარტიამ წამოიწყო ცვლილებები ოჯახური ფასეულობებისა და არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის მიზნით. „კანონპროექტი კრძალავს ერთნაირსქესიანი სამოქალაქო პარტნიორობის დაკანონებას, ერთნაირსქესიანი ან პოლიგამიური წყვილის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანას, ადამიანის

სქესის შეცვლას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, გარდა ქალისა და მამაკაცისა, სქესის შესახებ რაიმე სხვა ჩანაწერის შეტანას, ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის მიერ შვილის აყვანის და სქესის შეცვლის პოპულარიზაციას“ – განაცხადა მან.[4]

„ეროვნული იდენტობის“ შენარჩუნებაში გაწეული ღვაწლისთვის, საქართველოს პრემიერ-მინისტრი „ჭადრაკის დიდოსტატად“ მოიხსენია ვიქტორ ორბანმა.

ირაკლი კობახიძის უნგრეთში ვიზიტი და მისი შეხვედრა ვიქტორ ორბანთან ულტრამემარჯვენე მედიაპლატფორმა „ალტ-ინფომ“ საკუთარ ვებგვერდზე დაა-ანონსა. 25 აპრილს „ალტ-ინფოს“ პლატფორმაზე გამოქვეყნდა ირაკლი კობახიძის ჰომოფობიური სიტყვა, სათაურით: „ირაკლი კობახიძე – ე.წ. ლიბერალები, რომლებიც თავისუფლებას ხშირად შირმად იყენებენ, ყველაზე შეუწყნარებელი არიან ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით კი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართ.“

25 აპრილს გადაცემაში დღის კომენტარი, „ალტ-ინფოს“ წამყვანებმა გიორგი ძველაიამ და მამუკა კარტოზიამ მოწვეულ სტუმრებთან ერთად პრემიერ-მინისტრის ვიზიტის მიზნები და შედეგები მიმოიხილეს. „ქართული ოცნების“ კონსერვატიული შემობრუნება „ალტ-ინფოს“ წამყვანებმა ხელისუფლების შენარჩუნების ინსტრუმ-ენტად მიიჩნიეს და აღნიშნეს, რომ რიტორიკა შეუსაბამოა იმ პოლიტიკასთან, რომ-ელსაც ხელისუფლება წლების განმავლობაში ატარებს. მათი შეფასებით, „პრემიერის კონსერვატიული განწყობები და განცხადებები არ არის გულწრფელი და მას საერთოდ არ გააჩნია ეროვნული თვითშეგნება.“ პრემიერის უნგრეთში ვიზიტის მიმოხილვის პარალელურად, წამყვანებმა იმსჯელეს „ქართული ოცნების“ პოლიტ-იკურ დღის წესრიგზე და აღნიშნეს, რომ ხელისუფლება ყველა ნაბიჯზე ავლენს „პოლიტიკურ ეგოიზმს“, კარგავს საერთაშორისო პარტნიორებს და ერთიორად ზრდის ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს.

თუ ღარიბაშვილის ვიზიტს ერთი წლის წინ ცალსახად მოჰყვა კონსერვატიული ფლანგის დადებითი გამოხმაურება, ირაკლი კობახიძის შემთხვევაში, ულტრამემარ-ჯვენე ჯგუფებმა ან საერთოდ არ დაუთმეს დრო აღნიშნულ ფაქტს, ან არაგულწრფელი

[4] ამერიკის ხმა, 25.04. 2024, „ე.წ. ლიბერალები რისკის ქვეშ აყენებენ ერების იდენტობას - კობახიძე უნ-გრეთში“, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/MTqSy

და არათანმიმდევრული პოლიტიკის გატარების გამო გააკრიტიკეს, რაც შეიძლება აიხსნას იმ უკმაყოფილებით, რომელიც „ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობისთვის“ პარტიის გაუქმებამ გამოიწვია.

## 1.2. „თბილისი პრაიდის“ კვირეული და 17 მაისი - ჰომოფობიურ ფოკუსში

პოლიტიზებული ჰომოფობია საზოგადოების ფრაგმენტიზაციასა და პოლარიზაციას ემსახურება. სექსუალური და გენდერული იდენტობის საკითხებზე აპელირებით, ულტრამემარჯვენე ჯგუფები, როგორც წესი, პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას ცდილობენ კონსერვატიულად განწყობილ ამომრჩეველში ირაციონალური შიშების გაღვივების გზით.

საანგარიშო პერიოდში მმართველი პოლიტიკური ძალის რიტორიკა ღიად ჰომოფობიური გახდა, რაც მანამდე, ძირითადად, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ნიშას წარმოადგენდა.

თავის მხრივ, საანგარიშო პერიოდში, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ჰომოფობიური რიტორიკა განსაკუთრებით გამძაფრდა 2023 წლის ივლისში, „თბილისი პრაიდის“ კვირეულის პარალელურად. ძალადობრივი დაჯგუფების „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა პრაიდის ფესტივალის ჩაშლა ივლისის დასაწყისშივე დააანონსეს. მასშტაბური აქციის ორგანიზებისთვის და საქართველოს რეგიონებიდან მხარდამჭერთა ჩამოსაყვანად, „ალტ-ინფომ“ თანხის შეგროვებაც დაიწყო, თუმცა თიბისი ბანკმა და საქართველოს ბანკმა მათი ანგარიშები დაბლოკა. „კონსერვატიული მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა გიორგი ქარდავამ ვიდეო მიმართვაში პრაიდის კვირეული „გარყვნილების პროპაგანდად და პათოლოგიად“ მოიხსენია და მხარდამჭერებს მისი აღკვეთისკენ მოუწოდა. კონსტანტინე მორგოშიას განცხადებით, 8 ივლისი იქნებოდა „[2021 წლის] 5 ივლისს დადგმულ კუბოზე ბოლო ლურსმნის დაჭედება“.

„პრაიდის კვირეულის“ ორგანიზატორებს ღონისძიების გაუქმებისკენ მოუწოდა ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ორგანიზაციის „საქართველო უპირველეს ყოვლისას“ ლიდერმა ვატო შაქარაშვილმა: „ქართველმა ხალხმა, არა ერთხელ და არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ქმედებით დაამტკიცა, რომ არ დაუშვებს ჩვენს ქვეყანაში ე.წ. პრაიდის ჩატარებას და ეს პოზიცია არ გადაიხედება!“

მიუხედავად იმისა, რომ პრაიდის დასკვნით ღონისძიებამდე გაცილებით ადრე, შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმირებული იყო ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძალადობრივი განზრახვის შესახებ, სამინისტრომ არ უზრუნველყო ლგბტიქ+ თემის კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების და გამოხატვის თავისუფლების დაცვა. 8 ივლისს ძალადობრივმა ჯგუფებმა მარტივად შეძლეს პოლიციის კორდონის გარღვევა და პრაიდ-ფესტივალის ჩაშლა. პოლიცია თავად შეუძღვა ჩაშლილი ფესტივალის ტერიტორიაზე „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერს ზურა მახარაძესა და ძალადობრივი ორგანიზაციის „საქართველო უპირველეს ყოვლისას“ დამფუძნებელს ვატო შაქარაშვილს ფესტივალის ორგანიზატორთა ევაკუაციაში დასარწმუნებლად. სამართალდამცავთა ჯეროვანი რეაგირება არ მოჰყოლია არც შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ძალადობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა ფესტივალის კერძო ტერიტორიის დარბევა და გაძარცვა დაიწყეს. 8 ივლისს განვითარებულმა მოვლენებმა ძალადობრივი ჯგუფ-ების მიმართ ხელისუფლების ლოიალური პოლიტიკა დაადასტურა და მოგვიანებით, აშკარა გახადა, რომ ისინი ხელისუფლების ხელში პოლიტიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენდნენ.

ხელისუფლებისა და ულტრამემარჯვენე ლიდერების ჰომოფობიურმა რიტორიკამ ახალი იმპულსი შეიძინა 2024 წლის 17 მაისს, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ე.წ. რუსული კანონპროექტის განხილვის პარალელურად. საქართველოს მთავრობამ 17 მაისი უქმე დღედ გამოაცხადა. გადაწყვეტილებას ირაკლი კობახიძემ ხელი 15 მაისს მოაწერა.

17 მაისს „ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის“ დღე მმართველმა პარტიამ საპატრიარქოსთან ერთად თბილისში მასშტაბური შეკრებით აღნიშნა. ღონისძიება ქაშვეთის ეკლესიასთან დაიწყო და სამების საკათედრო ტაძრისკენ მსვლელობით გაგრძელდა. მსვლელობას შეუერთდნენ „ქართული ოცნების“ ლიდერები - პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი და თბილისის მერი კახა კალაძე, და ულტრამემარჯვენე ფლანგის წარმომადგენლები - კონსტანტინე მორგოშია, ზურა მახარაძე, შოთა მარტინენკო და გურამ ფალავანდიშვილი.

17 მაისის მსვლელობა პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად გამოიყენა „ქართულმა ოცნებამ“. თბილისის მერმა კახა კალაძემ, რომელიც მსვლელობას ოჯახის წევრებთან ერთად ესწრებოდა, 16 მაისს საზოგადოებას შეკრებისკენ მოუწოდა: „17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღეა. ოჯახი არის ის, რაზეც დგას ჩვენი სახელმწიფო. დაცული, ხელშეუხებელი, ტრადიციებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული ოჯახი ნიშნავს ძლიერ საქართველოს. სამშობლოს სიყვარულიც სწორედ ოჯახიდან იწყება.“

17 მაისის მსვლელობა რუსული კანონის მხარდამჭერ რეფერენდუმად გამოაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა: „17 მაისს

გამართული მასშტაბური აქცია ფაქტობრივად, ამ კანონის მხარდაჭერის სახალხო რეფერენდუმი იყო. აქედან გამომდინარე, პარლამენტის ვალდებულებაა, რომ შეასრულოს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნება“.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მედიებთან აღნიშნა: „ჩვენ მოგვმართა საპატრიარქომ, გამოვაცხადეთ ეს დღე უქმედ, როგორც მოგეხსენებათ. მთავარი გზავნილი არის ის, რომ ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ფასეულობებს, ღირებულებებსა და ტრადიციებს, რომლის გარეშეც ქვეყნის განვითარების გზა ვერ იქნება წარმატებული.“

ოჯახის სიწმინდის დღე „ალტ-ინფო-კონსერვატიული მოძრაობის“ დამფუძნებელმა კონსტანტინე მორგოშიამ საზოგადოებას ჰომოფობიური და სექსისტური განცხადებით მიულოცა: *„დღევანდელი დღე ... ეს არის ქართველი ხალხის, ერთობისა და ოჯახის სიწმინდის დღე, დღევანდელ აქციაზე, სხვა აქციებისგან განსხვავებით, არ იქნებიან არც გათხოვილი კაცები და არც გაქირავებული ქალები“.*

ულტრამემარჯვენე ფლანგის კიდევ ერთი ლიდერის ზურა მახარაძის განცხადებით, „დღეს ვიღაცეები ტრანსფობიასთან ბრძოლის დღეს აღნიშნავენ, საზოგადოების უდიდესი ნაწილი კი - ოჯახის სიწმინდის დღეს. ვისაც უნდა, რომ ამ დღესასწაულმა გაიმარჯვოს, საბოლოო ჯამში რა ნიუანსებიც არ უნდა იყოს, ერთ მხარეს ვდგავართ და ყველა, ვინც მეორე ბანაკშია, მეორე მხარეს.“ ოჯახის სიწმინდის დღის მსვლელობაში მონაწილეობა „ქართულ ოცნებას“ ღიად მოუწონა ალექსანდრე ფალავანდიშვილმა „ალტ-ინფოს“ გადაცემაში „დღის კომენტარი“:

*„წლევანდელი 17 მაისი იმითაც არის გამორჩეული, რომ მმართველმა გუნდმა პირველად გაბედა, შემოერთებოდა ამ სახალხო დღესასწაულს. ღვთის წყალობით დღეს, „ქართული ოცნება“ დადგა ხალხის გვერდით.“*

ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა მოქმედებებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ხელისუფლება, ულტრამემარჯვენე ფლანგთან ერთად ცდილობს მხარდამჭერთა მობილიზებას გენდერულ და სექსუალურ იდენტობებზე აპელირებით. მათი ჰომოფობიური რიტორიკა ნასაზრდოებია ფსევდო ეროვნულ-რელიგიური სენტიმენტებით, რაც მძლავრი პოლიტიკური იარაღია წინასაარჩევნო პერიოდში.

პოპულისტური, ულტრამემარჯვენე პოლიტიკური რეჟიმები ძალაუფლების შესანარჩუნებლად აქტიურად იყენებენ საზოგადოების პოლარიზების დესტრუქციულ მეთოდებს, რომელიც თვალსაჩინო გახდა „ქართული ოცნების“ შემთხვევაშიც. ხელისუფლება სწორედ ამ გამრიყავი, ანტიგენდერული და ჰომოფობიური პოლიტიკით ცდილობს მხარდამჭერთა მობილიზაციას, რითაც შეიძლება აიხსნას კიდეც ბოლო პერიოდში „ქართული ოცნებისა“ და ულტრამემარჯვენე ფლანგის იდენტური პოლიტიკური დღის წესრიგი.

## 2. ანტიგენდერული საკანონმდებლო ინიციატივები და პოლიტიკურ/საზოგადოებრივი დებატები

„ქართულმა ოცნებამ“ 2023 წლის მარტში მიღებულ 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიიდან გააქრო სექსუალური უმცირესობების საკითხები და ლგბტიქ+ ადამიანების უფლებები ყურადღების მიღმა დატოვა. 2023 წლის მარტის თვეში ხელისუფლებამ ულტრამემარჯვენე ჯგუფებთან ერთად ორკესტრირებული, ჰომოფობიური და სექსისტური კამპანია აწარმოვა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის“ წინააღმდეგ ორგანიზებული მასობრივი საპროტესტო აქციის მონაწილის ლაზარე გრიგორიადისის წინააღმდეგ. ამავე პერიოდში „ქართულმა ოცნებამ“ დააინიცირა ანტიგენდერული და ჰომოფობიური კონსტიტუციური კანონის პროექტი „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“. ამავე პერიოდში ცვლილება შევიდა „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ და გაუქმდა სავალდებულო გენდერული კვოტები.

### 2.1. კონსტიტუციური კანონის პროექტი ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ

2024 წლის აპრილის დასაწყისში მმართველი გუნდმა „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტი წარადგინა[5], რაც ხელისუფლების ანტიგენდერული რიტორიკისა და ულტრაკონსერვატიულ ფლანგზე ლავირების ლოგიკური გაგრძელებას წარმოადგენდა. საკანონმდებლო ინიციატივა კრძალავს სქესის შეცვლასთან დაკავშირებულ სამედიცინო ჩარევებს, ერთი და იმავე სქესის პირთა, როგორც ქორწინებას, ასევე, მათ მიერ ბავშვის შვილად აყვანას და ზღუდავს შეკრება/მანიფესტაციებს, ნაწარმოების/პროგრამების/საგანმანათლებლო მასალის გავრცელებას, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს „ლგბტ პროპაგანდასთან“.

[5] საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ - https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/359733

კანონის პროექტი თავისი შინაარსით პრინციპულად შეუსაბამოა საქართველოს კონსტიტუციასთან. სხვა მრავალ წინააღმდეგობრივ დებულებასთან ერთად, კანონის პროექტი პირდაპირ გულისხმობს მხატვრული და დოკუმენტური ნაწარმოებების ცენზურას. მმართველი გუნდის დაინიცირებული კანონპროექტის მსგავსი კანონი „ბავშვთა ინფორმაციისაგან დაცვის შესახებ, რომელიც ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას და განვითარებას“ 2013 წლიდან მოქმედებს რუსეთში, რომელიც კრძალავს „ლგბტ პროპაგანდას“. 2022 წლის 5 დეკემბრის ცვლილებებით, „ლგბტ პროპაგანდისთვის“ ჯარიმა ფიზიკური პირებისთვის 400,000 რუბლს შეადგენს, ხოლო იურიდიული პირებისთვის - 5 მილიონ რუბლს. კანონი ეხება სხვადასხვა სფეროს, მათ შორის, (ონლაინ) კინოთეატრებს, თეატრს, მედიასაშუალებებს, სარეკლამო ბიზნესს და სოციალური ქსელებს. „როსკომნადზორს“უფლება აქვს, სასამართლოს განჩინების გარეშე დაბლოკოს ინტერნეტ რესურსები, რომლებიც „არატრადიციული ურთიერთობების“, პედოფილიის და სქესის შეცვლის „პროპაგანდას“ შეიცავენ. რუსეთის მაგალითზე დაყრდნობით, თვალსაჩინოა ის ზიანი, რაც შეიძლება მიადგეს დემოკრატიული და უფლებრივი მდგომარეობის ხარისხს ქვეყანაში.

მმართველი გუნდის საკანონმდებლო ინიციატივას მყისიერად გამოეხმაურა რადიკალური და ულტრამემარჯვენე დაჯგუფების „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერი, კონსტანტინე მორგოშია და პირად ფეისბუქ პოსტში აღნიშნა: „ამ კანონის მიღების შემთხვევაში, პირველი დავუკრავ ტაშს, ჩემი აპლოდისმენტები ამ კანონის მიღების შემთხვევაში“. კანონპროექტს გამოეხმაურა ღიად ულტრამემარჯვენე და ძალადობრივი მედია პლატფორმა „ალტ-ინფოს“ წამყვანი ზურა მახარაძეც და პირად ფეისბუქ გვერდზე აღნიშნა: „როგორც იქნა მოვისმინეთ ოცნების საკანონმდებლო ინიციატივა ლგბტ პროპაგანდის აკრძალვასთან დაკავშირებით, რა შეიძლება ითქვას, ამ კანონმდებლობის თითოეულ პუნქტზე მზად ვარ ხელი მოვაწერო“. ხელისუფლებას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და ღიად ჰომოფობიური კანონპროექტი მოუწონა ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ლიდერმა გურამ ფალავანდიშვილმაც და „ალტ-ინფოს“ გადაცემაში „ალტერნატიული ხედვა“, 5 აპრილს განაცხადა: „აუცილებელია პარლამენტმა დააინიციროს მთავარი რამ - ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავი კანონი! ეს არის სრულიად საქართველოს, ერის და ბერის მოთხოვნა!"




2024 წლის აპრილში, ხელისუფლებისა და მისი სატელიტი მედია საშუალებების ანტიგენდერული რიტორიკა განსაკუთრებით ხილვადი გახდა რეგიონებში ჰომოფობიური საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვების

ფონზე. პირველი სახალხო განხილვა ხელისუფლების წარმომადგენლებმა 22 აპრილს ქუთაისში გამართეს. შეხვედრა „ქართული ოცნების“ ლიდერებმა, შალვა პაპუაშვილმა და მამუკა მდინარაძემ საზოგადოებაში ლგბტიქ+ თემის მიმართ სიძულვილისა და ჰომოფობიური განწყობების გაღვივებისთვის გამოიყენეს. გზავნილები „ლგბტ პროპაგანდის“ ბავშვებზე მავნე ზეგავლენის შესახებ, სენსიტიურ თემებზე აპელირების გზით ხელისუფლების მიმართ მხარდაჭერის გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

შეხვედრაზე „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა: *„თუკი ვინმეს უფლების დაცვაზეა საუბარი, ჩვენ უნდა შევძლოთ და უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი შვილები, მომავალი თაობები, ქვეყნის მომავალი, ოჯახური ღირებულებები და ჩვენი არასრულწლოვანები დავიცვათ“.* მდინარაძემ მკვეთრად ჰომოფობიური და დამაკნინებელი ტერმინით *„არა-ტრადიციული ორიენტაციის მიმდევრებად“* მოიხსენია ლგბტიქ+ თემი, ჰომოფობიურ კონტექსტში გააჟღერა კვლევითი ორგანიზაცია „გელაპის“, გამოკითხვის შედეგები, რომელშიც აშშ-ში ქვიარ თემის წარმომადგენელთა რაოდენობის ზრდაზეა საუბარი და აღნიშნული საკითხი მანიპულაციურ კონტექსტში დაუკავშირა ბავშვებსა და არასრულწლოვანებში „გარყვნილების პროპაგანდას“. მდინარაძემ ინცესტის დაკანონების საკითხის საშიშროებაც წამოჭრა და აღნიშნა, რომ დამცავი მექან-იზმების გარეშე, საქართველოს, „შესაძლოა - ინცესტის ნორმალიზებაც მოახვიონ თავს“. ქუთაისში გამართული შეხვედრის დროს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა განაცხადა: *„აქედანვე უნდა ჩამოვყალიბდეთ, ოჯახურ ღირებულებებთან დაკავშირებით, რა არის ჩვენი ფასეულობა, რა არის ის კალაპოტი, რომელშიც გვინდა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ იმოძრაოს.“*

მეორე შეხვედრა საყოველთაო-სახალხო განხილვის ფარგლებში 23 აპრილს ამბროლაურში გაიმართა. შეხვედრაზე ანტიგენდერული და ჰომოფობიური გამოსვლა ჰქონდა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომ-არეს ანრი ოხანაშვილს: „გავრცელებულია უკვე ტენდენცია, როდესაც მიმართვა ქალბატონებო და ბატონებო ითვლება დისკრიმინაციულად. არის არაერთი ავია-ხაზები, რომელიც, როდესაც საზღვარგარეთ გაფრინდებით, მოგმართავენ არა როგორც ქალბატონებო და ბატონებო, არამედ როგორც ძვირფასო მგზავრებო. ეს შემთხვევითი არ არის, ისევე, როგორც ქალის, კაცის მიმართვა გადახედილია და არის მიდგომები, როცა უნდა ეწოდოს არა ქალი და კაცი, არამედ მშობელი.“

ანრი ოხანაშვილის აზრით, პარლამენტში მოქმედებენ ლობისტური ჯგუფები, რომ-ელთა მიზანი საქართველოში „ლგბტ პროპაგანდაა“, ხოლო ძირითადი სამიზნე ბავშვები და არასრულწლოვანები არიან. მამუკა მდინარაძემ სადისკუსიოდ წამოჭრა ისეთი საკითხები, როგორებიცაა აბორტის აკრძალვა და ინ ვიტრო განაყოფიერება. მისი განცხადებით, აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით მიმდინარეობს ფართო შიდაპარტიული მსჯელობა და კონსულტაციები სასულიერო პირებთან. აბორტთან დაკავშირებით მამუკა მდინარაძემ განაცხადა: „სამედიცინო თემების დროს გასაგებია, მაგრამ იმის შემდეგ აკრძალვაზე . . . ალბათ უფრო ოპტიმალურ გამოსავალთან

მივალთ“. სუროგაციის თემაზე საუბრისას, მდინარაძე ბავშვთა და ქალთა უფლებებზე აპელირებით, საზოგადოებაში შიშის დათესვას და შეთქმულების თეორიების გავრცელებას შეეცადა: *„ე.ი. უცხოელები ჩამოდიან, როცა რეგულაცია არ არის ხისტი; ასე ვთქვათ, ჭურჭელს ეძახიან ქალს, რომელსაც ხელოვნური განაყოფიერებით ჩაუსახავენ ბავშვს, შემდეგ ყიდიან ამ ბავშვებს და მერე ეს ბავშვები იკარგებიან სადღაც უცხოეთში და წარმოუდგენელი ამბები ხდება.“* ჰომოფობიური კანონ-პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვა ქუთაისისა და ამბროლაურის გარდა, ოზურგეთში, ბათუმში, ზუგდიდსა და მესტიაშიც გაიმართა.[6]

„ქართული ოცნების“ მანიპულაციური, სიძულვილის შემცველი და ჰომოფობიური რიტორიკა ფართოდ გაშუქდა პროსახელისუფლებო მედია საშუალებების: იმედისა და პოსტ TV-ის მიერ. ულტრამემარჯვენე და პრორუს მედია პლატფორმაზე „ალტ-ინფო“ 23 აპრილის გადაცემაში „დღის კომენტარი“ ალექსანდრე ფალავანდიშვილმა, მოწვეულ სტუმართან დეკანოზ ვახტანგ თოხაძესთან ერთად ჰომოფობიურ და დეზინფორმაციულ კონტექსტში, ფართოდ მიმოიხილა „ლგბტ გარყვნილების“ პროპაგანდის საფრთხეები და ხელისუფლების იდენტური რიტორიკით, ბავშვთა უფლებების საკითხზე აპელირებითა და ვითომდა „რუმინეთის მაგალითზე“ დაყ-რდნობით, აღნიშნა, რომ რუმინეთში ანტიდისკრიმინაციული კანონი ერთნაირსქესიან წყვილებს ქორწინების და ბავშვის შვილად აყვანის უფლებას აძლევს და თითქოს წლების წინ არსებობდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი დებატები ინცესტის დაკანონების შესახებ. რეალურად, რუმინეთში ინცესტი სისხლის სამართლის კოდ-ექსით არის დასჯადი. ასევე, ევროკავშირის ამ ქვეყანაში ერთნაირსქესიანი წყვილებ-ისათვის ქორწინება, ისევე, როგორც მათ მიერ შვილად აყვანის პროცედურები აკრძალულია.

სავარაუდოდ, აღნიშნული ჰომოფობიური და სექსისტური რიტორიკა მიზნად ისახავს ლგბტიქ+ თემის დისკრედიტაციას, მათ წინააღმდეგ ბავშვების უფლებებზე აპელირ-ებით ცრუ და დეზინფორმაციული კონტენტის შექმნას და აგრესიის გაღვივებას საზოგადოებაში.

---

[6] ჰომოფობიური კანონპროექტის განხილვაში ჩართულები იყვნენ საქართველოს პარლამენტის თავ-მჯდომარე შალვა პაპუაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე რატი იონათამაშვილი, საქართველოს პარ-ლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი შატაკიშვილი, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით მათიკაშვილი, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტ-ეტის თავმჯდომარის მოადგილე სალომე ქურასბედიანი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თენგიზ შარმანაშვილი, საპარლამენტო ჯგუფის, „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი, საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის, „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე ფრიდონ ინჯია, საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის, „საქართველ-ოსათვის“ წევრი შალვა კერესელიძე და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის მოადგილე, კომისიის მდივანი ნინო შავგულიძე.

## 2.2. პარლამენტმა სავალდებულო გენდერული კვოტები გააუქმა

2024 წლის 4 აპრილს საქართველოს პარლამენტმა „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილება შეიტანა[7], რომლის თანახმადაც, პოლიტიკურ პარტიებს აღარ ექნებათ ვალდებულება, თავიანთი საარჩევნო სია გენდერული კვოტირების მოთხოვნების შესაბამისად დააკომპლექტონ. ცვლილებებამდე, პარტიულ სიაში ოთხიდან ერთი კანდიდატი ქალი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული კანონი საქართველოს პარლამენტმა 2020 წელს მიიღო. გენდერული კვოტირების შემოღება კანონმდებლობის ეუთო/ოდირის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანას ისახავდა მიზნად. მოგვიანებით, 2023 წლის თებერვალში[8], საქართველოს პარლამენტმა პროპორციულ პარტიულ სიებში სავალდებულო გენდერული კვოტირების მოქმედების ვადა 2032 წლამდე გაახანგრძლივა. ამასთანავე, განისაზღვრა, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრისა და შემდგომი, 2028 წლამდე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისათვის პარტიული სიების ყოველ ოთხეულში ერთი მაინც უნდა ყოფილიყო ქალი (და არა განსხვავებული სქესის).

პარტია „გირჩის“ მიერ ინიცირებულმა და საპარლამენტო უმრავლესობით მხარდაჭერილმა ღიად ანტიგენდერულმა კანონპროექტმა, რომლის შედეგადაც 2024 წლის 4 აპრილს გაუქმდა სავალდებულო გენდერული კვოტები, ულტრამემარჯვენე ფლანგის სრული მხარდაჭერა დაიმსახურა. პარლამენტში აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვები ქალთა მიმართ ღიად სექსისტური და მადისკრედიტირებელი მსჯელობის ფონზე მიმდინარეობდა. დეპუტატებმა ვახტანგ მეგრელიშვილმა („გირჩი“) და ბექა ოდიშარიამ („ქართული ოცნება“) ოპოზიციონერი ქალი დეპუტატების მისამართით ღირსების შემლახავი და დამაკნინებელი ფრაზები გააჟღერეს.

ანტიგენდერული და სექსისტური რიტორიკის ფონზე მიღებული რეგრესული ცვლილება მისაღები აღმოჩნდა რადიკალური და ულტრამემარჯვენე „ალტ-ინფოსთვის.“ გენდერული კვოტების გაუქმებას 1 აპრილს ფეისბუქ პოსტით გამოეხმაურა „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი ლიდერი ზურა მახარაძე: „გირჩთან ყოველგვარი იდეოლოგიური უთანხმოების მიუხედავად, ეს ძალიან სწორი ინიციატივაა და ცალსახად მივესალმები. დეპუტატი თავისი უნარ-ჩვევებით უნდა შეირჩეს და არა გენდერით“. აღნიშნული რიტორიკა ზურა მახარაძის მხრიდან მკვეთრად სექსისტური გახდა 2 აპრილს, გადაცემაში „ალტ-ანალიტიკა“, სადაც მისი თავდასხმის ობიექტი გახდა პარტია „ლელოს“ დეპუტატი ანა ნაცვლიშვილი. ზურა მახარაძემ გადაცემაში დამაკნინებელი ტერმინოლოგიით შეაფასა ანა ნაცვლიშვილის განცხადება კვოტირების შესახებ.

[7] კანონპროექტი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ - https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/359828

[8] საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ - https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/320006

ზემოხსენებულ განცხადებაში ნაცვლიშვილი კანონპროექტის ინიციატორებს შეეკითხა, გაიარეს თუ არა კონსულტაცია ქალ პოლიტიკოსებთან. *„ყველაზე **შტერული** არის ადამიანის აზროვნება აქამდე რომ დადის. ამ **ქალს ტვინის კვოტირება** რომ აქვს უკვე დამართული, ეგ არის განსახილველი.“*

გენდერული კვოტირების გაუქმება დადებითად შეაფასა „ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის“ კიდევ ერთმა ლიდერმა შოთა მარტინენკომ. მან ფეისბუქ პოსტში 1 აპრილს აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, გირჩის იდეოლოგიური პოზიცია ჩვენთვის მკვეთრად მიუღებელია, გენდერული კვოტირების გაუქმების გატანაზე მათ ცალსახად დადებითი შეფასება ეკუთვნით.”




ქალთა მძიმე უფლებრივი მდგომარეობისა და პოლიტიკური მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის ფონზე, გენდერული კვოტების გაუქმებამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ქალების საჯარო პოლიტიკაში ჩართულობას, რაც აუცილებლად აისახება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წლის ყოველწლიური ანგარიშში[9] უკვე კრიტიკულად შეაფასა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მდგომარეობა საქართველოში. ანგარიშში მითითებულია, რომ ქვეყანაში არსებული გენდერული სტერეოტიპები, დამოკიდებულებები გენდერული როლების მიმართ და უთანასწორო გარემო მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ქალთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებაზე. 2023 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ეროვნული კვლევის თანახმად, ქალების 59.9%-ს და კაცების 74.7%-ს კვლავ მიაჩნია, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შინამეურნეობის გაძღოლაა. 2023 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მიხედვით, საქართველომ, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მაჩვენებლით, მნიშვნელოვანი რეგრესი განიცადა და 57-ე ადგილიდან 91-ე ადგილზე გადაინაცვლა. პარლამენტთაშორისი კავშირის მონაცემების მიხედვით კი, საქართველო, 26 ქალით საქართველოს პარლამენტში, 556 პარლამენტს შორის, 121-ე ადგილიდან 128-ე ადგილზე გადავიდა.

[9] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ საქართველოში, ლგბტიქ+ თემის უფლებების საკითხებით მანიპულირება დეზინფორმაციული მედია პროპაგანდის მნიშვნელოვანი ელემენტია. ანტიგენდერულ, ღიად ჰომოფობიურ კამპანიაში აქტიურად არიან ჩართულები ხელისუფლების წარმომადგენლები, მათი სატელიტი პოლიტიკური ძალები, პროკრემლისტური ძალადობრივი ჯგუფები და პროსახელისუფლებო მედია საშუალებები.

## 3. დისკრედიტაციის კამპანიები ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ

საანგარიშო პერიოდში ყველაზე თვალშისაცემი იყო კოორდინირებული მადისკრედიტირებელი კამპანია საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის, ელენე ხოშტარიას („დროა“) და სალომე სამადაშვილის („ლელო“) წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ქალი პოლიტიკოსები გენდერული ნიშნით მოტივირებული სიძულვილის ენის სამიზნე აღმოჩნდნენ  მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტიურობის გამო.

ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ ანტიგენდერულ რიტორიკაში ჩართულები იყვნენ ხელისუფლება და მისი სატელიტი პოლიტიკური ძალები, პროსახელისუფლებო მედიები და ულტრამემარჯვენე ჯგუფები, რომლებიც ქალი პოლიტიკოსების არაკომპეტენტურ ან/და გაკიცხვის ობიექტად წარმოჩენას ცდილობდნენ, ახდენდნენ მათ სექსუალურ ობიექტივიზაციას, აქილიკებდნენ გარეგნული ნიშნით, ხმის ტემბრითა თუ მორალური „საზომებით.“ ქალ პოლიტიკოსებზე ვერბალური თავდასხმების საბოლოო მიზანი მათი პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორებაა.

მიმდინარე მონიტორინგის შედეგად გაანალიზებული ნარატივების შედეგად გამოიკვეთა, რომ სექსისტური, მიზოგენიური სიძულვილის ენა ქართველი ქალი პოლიტიკოსების მიმართ აქტიურად გამოიყენება, როგორც ტელევიზიებში, ბეჭდურ და ონლაინ მედიაში, ასევე, სოციალურ ქსელებსა და საჯარო სივრცეებში, მათ შორის, პარლამენტის სხდომებზე. შესაბამისად, რთულია ისეთი სივრცის აღმოჩენა, სადაც ქალ პოლიტიკოსებზე გენდერული ნიშნით თავდასხმა არ ხდება.

### 3.1. დისკრედიტაციის კამპანია სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ

2024 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, სიტყვით გამოსვლისას, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საზოგადოებას „ქართული ქარტია“ წარუდგინა და პროევროპულ ოპოზიციურ პარტიებს თანამშრომლობა შესთავაზა. აღნიშნული ინიციატივის ფონზე პრეზიდენტის წინააღმდეგ ხელისუფლების, ძალადობრივი ჯგუფების, „ქართული ოცნების“ სატელიტი პოლიტიკური ძალებისა და

პროსახელისუფლებო მედია საშუალებების მხრიდან ორკესტრირებული მადისკრედიტირებელი კამპანია დაიწყო. კამპანია ხასიათდებოდა სექსისტური ენით და მიზნად ისახავდა პრეზიდენტის ინტელექტუალური უნარების დაკნინებას, გარეგნული და მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვას. აღსანიშნავია, რომ სალომე ზურაბიშვილი არაერთხელ გამხდარა მადისკრედიტირებელი თავდასხმების სამიზნე წარსულშიც, თუმცა საანგარიშო პერიოდში, ფრაგმენტულმა თავდასხმებმა ორკესტრირებული კამპანიის სახე მიიღო.

27 მაისს „ქართული ოცნების" ლიდერებმა - შალვა პაპუაშვილმა, კახა კალაძემ, მამუკა მდინარაძემ და არჩილ თალაკვაძემ ერთმანეთის მიყოლებით დასდეს ბრალი სალომე ზურაბიშვილს „ქვეყნის ღალატში", „რადიკალური ძალების მხარდაჭერასა" და „ფაშისტურ-ლიბერალური" დღის წესრიგის წახალისებაში. თბილისის მერმა კახა კალაძემ პრეზიდენტი „ფაშისტური პოლიტიკური ძალების" ლიდერობაში და „ნაციონალურ მოძრაობასთან" დაკავშირებული პოლიტიკური აქტორების გაერთიანებაში დაადანაშაულა. აღნიშნული ნარატივი მიზნად ისახავდა სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ დისკრედიტაციას და მის მართულ პოლიტიკურ აქტორად წარმოჩენას. კახა კალაძის განცხადებით, ის „მიესალმება" სალომე ზურაბიშვილის „ქართული ქარტიის" ირგვლივ ოპოზიციის გაერთიანებას, [ვინაიდან] „ეს არის დასტური იმისა, რასაც ამ ხნის განმავლობაში ვამბობდით, ეს პოლიტიკური პარტიები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის" წიაღში აღმოცენდნენ, შეიძლება, სხვადასხვა სახელებით გამოდიოდნენ, მაგრამ ერთი გუნდი არის, ერთი ხელით იმართება. ამ ყველაფრის დადასტურებაა ის გადაწყვეტილება, რაც პრეზიდენტის მხრიდან გაჟღერდა. ესენი არიან ფაშისტები ლიბერალიზმით შენიღბულები". თბილისის მერის აღნიშნული განცხადება ნიუსის სახით გავრცელდა პროსახელისუფლებო მედიების „იმედისა" და „რეპორტიორის" ონლაინ პლატფორმებზე.



„საზოგადოების მოტყუებასა" და „ლოკალური ომის პარტიის" მხარდაჭერაში დაადანაშაულა სალომე ზურაბიშვილი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ და აღნიშნა: „სალომე ზურაბიშვილმა წარადგინა არა ქართული, არამედ, ლოკალური ომის ქარტია, რომლის მიხედვითაც ხალხმა ხმა ნაცებს უნდა მიცეს იმ დაპირებით, რომ ხალხი ხმას ნაცებს, ომს და ბოროტებას კი არა, ევროპას აძლევს." აღნიშნული დეზინფორმაციული ნარატივიც მიზნად ისახავს პრეზიდენტის დისკრედიტაციას და წარმოაჩენს მას ქვეყანაში ომის წამქეზებელ პოლიტიკურ აქტორად. მამუკა მდინარაძის განაცხადი ქარდების სახით მომენტალურად გავრცელდა 27 მაისს

პროსახელისუფლებო მედიების „Pos-tv“-ის ფეისბუქ გვერდსა და „რეპორტიორის“ ონლაინ პლატფორმაზე.

„უპერსპექტივო და არაგულწრფელი“ პლატფორმის ხელმძღვანელად შეაფასა პრეზიდენტი პარლამენტის ვიცე-სპიკერმა არჩილ თალაკვაძემ. ასევე, გააჟღერა ცილისმწამებლური გზავნილი და პრეზიდენტს ბრალი დასდო ქვეყნის დესტაბილიზაციასა და ქაოსის ორგანიზებაში. მან, საზოგადოებას განუცხადა, რომ „იმის გასარკვევად, თუ რამდენად არაბუნებრივი, არაგულწრფელი და უპერსპექტივოა ეს გაერთიანება, ფრონტს, როგორც თვითონ თქვეს, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ჩაუყენეს სათავეში”. პრეზიდენტის დისკრედიტაციის მიზნით, მან საზოგადოებას შეახსნა, წარსულში პრეზიდენტის წინააღმდეგ დამამცირებელ კონტექსტში გავრცელებული ოპოზიციური ძალების განცხადებები და შეფასებები. არჩილ თალაკვაძის მიერ გავრცელებული, სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ მიმართული განცხადება გავრცელდა პროსახელისუფლებო მედია პლატფორმებზე „იმედი“ და „რეპორტიორი“.

სალომე ზურაბიშვილის დისკრედიტაციის კამპანიაში ორკესტრირებულად ჩაერთნენ ძალადობრივი, ულტრამემარჯვენე აქტივისტები და ლიდერები. ულტრამემარჯვენე ბლოგერმა ბექა ვარდოსანიძემ 27 მაისს საკუთარ ფეისბუქ პლატფორმაზე გაავრცელა პოსტები, სადაც დამაკნინებელი და შეურაცხმყოფელი ტერმინებით: „ბანძუშკად“, „საფრანგეთის აგენტად“ და „ქვეყნის მტრად“ მოიხსენია სალომე ზურაბიშვილი.



ძალადობრივი ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ძალის „კონსერვატიული მოძრაობა/ ალტ-ინფოს“ ლიდერისა და დამფუძნებლის კონსტანტინე მორგოშიას შეფასებით, სალომე ზურაბიშვილი „მოღალატე მენშევიკების შთამომავალი და თავადაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტია“.

გარდა მორალური კრიტერიუმებით დისკრედიტაციისა, მის ფეისბუქ პოსტში, რომელიც 26 მაისს გამოქვეყნდა, კონსტანტინე მორგოშიამ პრეზიდენტთან მიმართებაში აღნიშნა: „დამოუკიდებლობის დღე, ქართველებმა სოხუმში უნდა აღვნიშნოთ და არა მადმუაზელ სა(ლ)იომეს ბორდელში!“, რაც „სლათშეიმინგს“ წარმოადგენს.[10] პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ მადისკრედიტირებელ, ორკესტრირებულ კამპანიაში ჩაერთო ულტრამემარჯვენე, ულტრა-ნაციონალისტური პლატფორმის „საქართველო უპირველეს ყოვლისას“ ლიდერი ვატო შაქარაშვილი. მისი განცხადება, სადაც ის სალომე ზურაბიშვილს „ამერიკული ოცნების“ წარმომადგენლად, „მოღალატედ“ და „მკვდრადშობილი გეგმის“ ავტორად მოიხსენიებს, პროსახელისუფლებო მედია პლატფორმაზე „Postv“-ზე პოსტის სახით გავრცელდა.

პრეზიდენტის მადისკრედიტირებელ კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდნენ ხელისუფლების სატელიტი პოლიტიკური დაჯგუფების „ხალხის ძალის“ ლიდერებიც. სალომე ზურაბიშვილის მორალური კრიტერიუმებით გამკიცხავი მათი განცხადებები ქარდების სახით გავრცელდა პროსახელისუფლებო მედია პლატფორმის „Postv-ახალი ამბების“ ფეისბუქ გვერდზე. „ხალხის ძალის“ წევრმა დავით ქართველიშვილმა პრეზიდენტი „უსამშობლო ანტიქართველად“ მოიხსენია, რომელიც „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ სახეა. სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულა სალომე ზურაბიშვილი „ხალხის ძალის“ კიდევ ერთმა ლიდერმა თამთა მეგრელიშვილმა. პრეზიდენტი „აგენტოკრატად“ და „გლობალური ომის პარტიის“ წარმომადგენლად მოიხსენია „ხალხის ძალის“ წევრმა ზურა ქადაგიძემ.

[10] გოგოების და ქალების შერცხვენა სექსუალური ქცევის, გარეგნობისა თუ ჩაცმულობის გამო, რომელიც წინააღმდეგობაშია სექსუალობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ გენდერულ წარმომადგენლებთან.

სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ მადისკრედიტირებელ კამპანიაში აქტიურად ჩაერთნენ პროსახელისუფლებო „ექსპერტები“ - ედიშერ გვენეტაძე და ნინო ფოჩხუა. მათი განცხადებები გაჯერებული იყო სექსიზმით, ეიჯიზმითა და ქალთა დარცხვენის სხვა მორალური ინდიკატორებით. პროსახელისუფლებო აქტორების დეზინფორმაციული და დამაკნინებელი გზავნილები პოსტების სახით გავრცელდა პროსახელისუფლებო მედიის „Postv-ახალი ამბების“ ფეისბუქ გვერდზე. ნინო ფოჩხუამ, რომელიც „Postv-ის“ აქტიური სტუმარია, სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ მკვეთრად დამაკნინებელი, სექსისტური ტერმინოლოგია გამოიყენა. მან პრეზიდენტი *„უთავმოყვარეო ქალად“, „ნაძირალად“ და „ე.წ. პრეზიდენტად“* მოიხსენია. ეიჯიზმი და სექსიზმი შესამჩნევია პროსახელისუფლებო ექსპერტის ედიშერ გვენეტაძის განცხადებაში, სადაც ის სალომე ზურაბიშვილს *„პოლიტიკურ ცოცხზე გადამჯდარ დედაბერს“ და „ე.წ. პრეზიდენტს“ უწოდებს.*

## 3.2. დისკრედიტაციის კამპანია ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ

2024 წლის აპრილ-მაისში პოლიტიკური პარტია „დროას“ ლიდერის ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ ვერბალური თავდასხმები გააქტიურდა და კამპანიური ხასიათი შეიძინა. ხელისუფლების წარმომადგენლები, მათთან ღიად დაკავშირებული სოციალური გვერდები, მედია პლატფორმები და სატელიტი პოლიტიკური ძალები ცდილობდნენ ხოშტარია პირადი მატერიალური გამორჩენის მიზნით რუსეთისადმი კეთილგანწყობაში დაედანაშაულებინათ. აღნიშნული დისკრედიტაციის კამპანია ემსახურებოდა ელენე ხოშტარიას ორმაგი სტანდარტების მქონე პიროვნებად წარმოჩინებას, რომელიც, ერთი მხრივ, აპროტესტებს „რუსულ კანონს“ და მეორე მხრივ, თავად იღებს სარგებელს რუსეთიდან.

ელენე ხოშტარიაზე თავდასხმები „ქართული ოცნების“, მასთან დაკავშირებული მედია პლატფორმების, სატელიტი პოლიტიკური ძალებისა და ძალადობრივი ჯგუფების ლიდერების მხრიდან 14 აპრილიდან გააქტიურდა, როდესაც პოლიტიკოსმა ფეისბუქ სტატუსი გამოაქვეყნა და უარყო მის წინააღმდეგ არაერთხელ გაჟღერებული ბრალდება, თითქოს მისი ოჯახი რუსეთიდან იღებს შემოსავალს. კონკრეტულად, ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ წარსულშიც არაერთხელ გავრცელდა პროპაგანდისტული გზავნილი, რომ მას და მის ოჯახს რუსეთი აფინანსებს და ამის ფონზე, არანაირი მორალური უფლება არ აქვს, ბრალი დასდოს ხელისუფლებას პრორუსულ განწყობებში. აღნიშნული პროპაგანდა მისი, როგორც პოლიტიკოსის დისკრედიტაციას ემსახურებოდა.

ელენე ხოშტარიამ განმარტა, რომ მისი მამა სოლიკო ვირსალაძის მემკვიდრეა, ფლობს საავტორო უფლებებს და შესაბამისად, იღებს საავტორო უფლებებიდან მიღებულ შემოსავალს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში დადგმული სოლიკო ვირსალაძის სპექტაკლებიდან. პოსტში ვკითხულობთ: „მოგიყვებით როგორ მუშაობს პროპაგანდა „რუბლები." ეს არის უმცირესი, აი, 5 წუთში გუგლიდან ამოკრეფილი სტატიები და აფიშები სოლიკო ვირსალაძის დადგმების მსოფლიოს წამყვან ოპერებში. ლონდონი, იაპონია, პარიზი და სხვა. ამ ოპერებში დღემდე იდგმება სოლიკო (სიმონ) ვირსალაძის სპექტაკლები და მის მემკვიდრეებს მამაჩემს და მის დეიდაშვილს მანანა ხიდაშელს, როგორც წესი და რიგია, ერიცხებათ საავტორო უფლებების თანხები. ყოველ ჯერზე, აი მეც რომ არ ვიცი, სუსმა და იმედმა იცის ყველა გადმორიცხვა, ოღონდ ამ დადგმების გადმორიცხვებს ბინძურად ეძახიან რუბლებს." აღნიშნულ პოსტს დაუყოვნებლივ მოყვა განახლებული, მადისკრედიტირებელი და ორკესტრირებული კამპანია ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ. აღნიშნული პოსტი პროპაგანდისტული და მანიპულაციური სათაურით: *„ელენე ხოშტარიამ პრაქტიკულად აღიარა, რომ რუსეთიდან მის ოჯახს თანხები ერიცხება"* - გაავრცელა პროსახელისუფლებო „იმედმა".




„ქართული ოცნებისა" და ხელისუფლების სატელიტი პოლიტიკური პარტიის „ხალხის ძალის" ლიდერების ერთობლივი თავდასხმები ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ, მყისიერად გავრცელდა პროსახელისუფლებო პლატფორმა „რეპორტიორზე". პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ რატი იონათამიშვილმა, პარტია „დროას" ლიდერის წინააღმდეგ მადისკრედიტირებელი" გზავნილები იმედის ეთერში, გადაცემა „ქრონიკაში" გაიმეორა: „ეს ადამიანები განაგრძობენ დაფინანსების მიღებას რუსეთისგან და ეს მათ დისკომფორტს სულაც არ უქმნით". აღნიშნული განცხადება გავრცელდა „რეპორტიორის" მედია პლატფორმაზეც.

ელენე ხოშტარიას მორალური ნიშნით დისკრედიტაციისა და მისი ორმაგ სტანდარტებში დადანაშაულების მცდელობას ემსახურებოდა საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის დავით მათიკაშვილის განცხადებაც: *„ელენე ხოშტარიას არაფერი რუსული რომ არ მოსწონს, ეტყობა მარტო რუბლთან აქვს განსაკუთრებული ურთიერთობა და რუბლი მოსწონს, მაგრამ დანარჩენი არაფერი რუსული არ მოსწონს".* აღნიშნული განცხადება გავრცელდა „იმედისა" და „რეპორტიორის" მედია პლატფორმებზე.

ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ მიმართულ მადისკრედიტირებელ კამპანიაში აქტიურად ჩაერთო პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილიც: „ეს მეტყველებს ბევრ რამეზე - ეს ოჯახი პირდაპირ ფინანსდება ოკუპანტი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. როგორც ჩანს, მათი პერსპექტივიდან ახლა განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია." აღნიშნული მადისკრედიტირებელი შეფასება გავრცელდა როგორც „იმედის", ასევე, რეპორტიორის მედია პლატფორმებზე.

ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ მადისკრედიტირებელ კამპანიაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ხელისუფლების სატელიტი პოლიტიკური პარტია „ხალხის ძალის" ლიდერებიც. დავით ქართველიშვილმა ელენე ხოშტარიას ორმაგ სტანდარტებში დასდო ბრალი და განაცხადა: *„მოსკოვიდან ლონდონში უპრობლემოდ ირიცხება ფული, აქ კი, „შავ საბანკო ხვრელებს" ეძებენ. ლონდონი კი გადაიქცა ორმაგი აგენტურის საფინანსო-სატრანზიტო მკვებავ პუნქტად. ხოლო ვისი ნოტები ვის როიალშია, მარიინსკის თეატრის დირიჟორს თუ ეცოდინება".*

„ხალხის ძალის“ აღმასრულებელმა მდივანმა გურამ მაჭარაშვილმა ელენე ხოშ-ტარიაზე განაცხადა: „ვითომ რუსეთის წინააღმდეგ არის მაშინ, როდესაც რუსული განათლება აქვს, სპეცსამსახურები იქ აქვს გავლილი და დღემდე რუსეთის ბიუჯ-ეტიდან ფინანსდება.“ აღსანიშნავია, რომ ხოშტარიას მის რუსულ განათლებას ნეგატი-ურ კონტექსტში პერიოდულად ახსენებენ და მისი პოლიტიკური საქმიანობის დის-კრედიტაციისთვის წარსულშიც არაერთხელ გამოუყენებიათ სხვადასხვა აქტორებს.




ძალადობრივი, ულტრანაციონალისტური ჯგუფის „ქართული მარშის“ ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ ღირსების შემლახავი, შეურაცხმყოფელი და სექსისტური ტერმინები: „კგბ-ს აგენტი“, „კრემლის ძველი კახპა“ და „მოღალატე“ უწოდა ელენე ხოშტარიას და ფეისბუქზე გამოაქვეყნა პოსტი: *„სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს – დღეს ეს კრემლის ნარჩენები, კგბ-ს აგენტურა, მექრთამე საბჭოთა ნომენკლატურის ნაშიერები, ხოშტარიების მსგავსად კრემლის პენსიაზე მჯდომი მოღალატეები, დამბეზღებლები - კრემლის ძველი „კახპები“ ე.წ. რუსული კანონის წინააღმდეგ გამოდიან“.* აღნიშნული პოსტი ასევე გამოქვეყნდა პროსახელისუფლებო მედია პლატფორმა რეპორტიორზე.




საანგარიშო პერიოდში, ელენე ხოშტარიას დისკრედიტაცია ხდებოდა გენდერული ნიშნითაც. კერძოდ, ფოტომანიპულაციით, სადაც ის წარმოდგენილია მამაკაცის ვიზუალით. აღნიშნული მანიპულაციის მიზანს გენდერული როლის შეცვლის გზით პოლიტიკოსის დისკრედიტაცია წარმოადგენდა. აღნიშნული ფოტო მანიპულაცია დამაკნინებელი წარწერით „თბილისი-ჩელიაბინსკის რეისავოი“ გავრცელდა ფეისბუქ გვერდზე: „არ აგარევინებთ“, რომელიც დაკავშირებულია ულტრამემარჯვენე პლატ-ფორმის „საქართველო უპირველეს ყოვლისას“ ლიდერთან ვატო შაქარაშვილთან და გამოირჩევა ანტიდასავლური და ანტილიბერალური შინაარსით. იდენტური ფოტო მასალა, ამჯერადაც გენდერული ნიშნით და დამაკნინებელი წარწერით: ***„ვა! ბიჭებო! მახო მოსულა!“*** გავრცელდა ბაკურ სვანიძესთან დაკავშირებულ ფეისბუქ გვერდებზე: „პოლიტიკოსები 1 ლარიდან“, „სინდისისგან თავისუფალი მედია“ და „იროnews“.

აღნიშნული გვერდები ხასიათდებიან ანტილიბერალური და ანტიგენდერული კონტენტით და თავის მხრივ დაკავშირებულები არიან ბაკურ სვანიძესთან, რომელიც წარსულში აქტიურად აწარმოებდა ღიად პრორუსული პოლიტიკური პარტიის „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერ მედია კამპანიას.

## 3.3. დისკრედიტაციის კამპანია სალომე სამადაშვილის წინააღმდეგ

2024 წლის 13 მაისს პროსახელისუფლებო მედიის POSTV-ის ჟურნალისტმა ნათია ბერიძემ პარტია „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერის სალომე სამადაშვილის ვიდეო გაავრცელა, სადაც დეპუტატი ტუჩსაცხს ისვამს. აღნიშნული ვიდეო ჟურნალისტმა გამოაქვეყნა პოლიტიკოსის გენდერული და მორალური ნიშნით დისკრედიტაციის მიზნით, რაც კარგად იკვეთება პოსტში, რომელიც ჟურნალისტმა ვიდეოსთან ერთად გამოაქვეყნა: *„სანამ გარეთ ხალხი წვიმაში, ღამენათევი იდგა, პარლამენტში სხდომა მიმდინარეობდა, ეს იპრანჭებოდა და დააგვიანა შესვლა. მაგრად ადარდებთ გარეთ ხალხი და შიგნით კანონი”.*

ვიდეო წარმოადგენს ვიდეომანიპულაციას. რეალურად, 13 მაისს სალომე სამადაშვილი პარლამენტის შენობაში იმყოფებოდა. ე.წ. რუსული კანონპროექტის განხილვის საკომიტეტო სხდომას კი, რომელიც 67 წამში დამთავრდა, მისი განცხადებით, პოლიციის მხრიდან შეყოვნების გამო ვერ დაესწრო. ვიდეო, რომელიც დეპუტატის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად, რეალურად გადაღებული და გამოქვეყნებულია ლელოს წევრის ირაკლი კუპრაძის სასამართლო სხდომიდან, რომელსაც სალომე სამადაშვილიც ესწრებოდა.

საანგარიშო პერიოდში სალომე სამადაშვილის წინააღმდეგ მადისკრედიტირებელ გზავნილებს ვიდეო მასალის სახით ავრცელებდნენ ღიად ანტილიბერალური და ანტიდასავლური გვერდები. ისევ ტუჩსაცხზე აპელირებით შეეცადა პოლიტიკოსის საქმიანობის დისკრედიტაციას ფეისბუქ გვერდი „სირცხვილის კორიდორი.“ 14 მაისს

ფეისბუქგვერდმა გამოაქვეყნა ვიდეო წარწერით: „ლობიანი არ შეხვდა და პომადის ჭამა დაიწყო“. ხოლო ფეისბუქ გვერდზე „არ აგარევინებთ“ გამოქვეყნდა ვიდეო, სადაც ასახულია, აქციიდან ერთი მონაკვეთი, როდესაც სალომე სამადაშვილი ცდილობს დაუკავშირდეს სახალხო დამცველს ლევან იოსელიანს. ვიდეოს ახლავს დამაკნინებელი წარწერა: „აქანე მეორედ აღარ დარეკო“, ხოლო დასასრულს, მონტაჟის სახით ჩასმულია სიტყვიერი შეურაცხყოფის მონაკვეთი, რომელიც მიმართულია სალომე სამადაშვილის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მისი ღირსების შელახვას და დამცირებას.

## ძირითადი მიგნებები

- საანგარიშო პერიოდში, თვალსაჩინო გახდა ხელისუფლების მკვეთრი შემობრუნება ულტრაკონსერვატიული მიმართულებით. აღნიშნული ტრანსფორმაცია ამყარებს მოსაზრებას, რომ მმართველი ძალა ანტიგენდერულ, მკვეთრად სექსისტურ და ჰომოფობიურ სენტიმენტებზე აპელირებით ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას და მხარდამჭერთა მობილიზებას. საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ყოფილი და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრების სიტყვით გამოსვლები უნგრეთში, „კონსერვატიული პოლიტიკურ მოქმედების კონფერენციაზე“ ხელისუფლების ულტრაკონსერვატიულ ფლანგზე ტრანსფორმაციის დასტურია.

- დღეს საქართველოში ანტიგენდერული რიტორიკის მთავარ აქტორებად გვევლინებიან მმართველი პარტია „ქართული ოცნების“, მისი სატელიტი პოლიტიკური ძალების, ხელისუფლების სატელიტი მედია საშუალებებისა და ულტრამემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენლები.

- შემაშფოთებელ ტენდენციად იქცა ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და სახელმწიფოს ოფიციალური პოზიციების თანხვედრა ჰომოფობიის ინსტრუმენტალიზაციის კუთხით. აღნიშნული ტენდენცია ახალისებს ძალადობრივ პრაქტიკებს მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ და აღვივებს საზოგადოების ფრაგმენტიზაციასა და პოლარიზაციას.

- „ქართული ოცნების“ ულტრაკონსერვატიულ ფლანგზე მყარად პოზიციონირების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში დაინიცირებული და მიღებული ანტიგენდერული საკანონმდებლო ინიციატივები.

- საქართველოში ანტიგენდერულ რიტორიკაში, ძლიერია ჰომოფობიური განწყობები, რომელიც ამავე დროს, პირდაპირ აპელირებს რელიგიურ-ეროვნულ სენტიმენტებზე.

- ჰომოფობიური და სექსისტური რიტორიკა მიზნად ისახავს ლგბტიქ+ თემის დისკრედიტაციას, მათ წინააღმდეგ ბავშვების უფლებებზე აპელირებით ცრუ და დეზინფორმაციული წარმოდგენების შექმნას და უმცირესობათა წინააღმდეგ აგრესიის გაღვივებას საზოგადოებაში.

- ხელისუფლებისა და ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერულ რიტორიკაში მძლავრობს მადისკრედიტირებელი თავდასხმები ოპოზიციონერი ქალი ლიდერების წინააღმდეგ. სამიზნეში ძირითადად ის ქალი პოლიტიკოსები ხვდებიან, რომლებიც დროის კონკრეტულ მონაკვეთში მაღალი პოლიტიკური აქტივობითა და ხილვადობით გამოირჩევიან.

# რეკომენდაციები

- ხელისუფლების მხრიდან შეწყდეს ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია და ძალადობრივი ჯგუფების ირიბი თუ პირდაპირი მხარდაჭერა.

- ხელისუფლებამ უზრუნველყოს ლგბტიქ+ თემის და ქალთა მოწყვლადი ჯგუფების უფლებებისა და უსაფრთხოების, მათ შორის, კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების და გამოხატვის თავისუფლების დაცვა.

- სამოქალაქო სექტორმა აქტიურ რეჟიმში მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია ხელისუფლებისა და ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული/ ანტიფემინისტური დღის წესრიგიდან მომავალი საფრთხეების შესახებ.

- კვლევითმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ იმ ძირითადი მიზეზების შესწავლა, რაც ასაზრდოებს ექსტრემისტულ დაჯგუფებებს.

- ქალთა უფლებებზე ორიენტირებულმა ორგანიზაციებმა საკუთარ სტრატეგიულ სამოქმედო დღის წესრიგში მნიშვნელოვან გამოწვევად წარმოაჩინონ ის ძალადობრივი პრაქტიკები, რომლის ნორმალიზებასაც ცდილობენ ხელისუფლების წარმომადგენლები ულტრამემარჯვენე ჯგუფებთან უნისონში.